223

№ 200. შაბათი, 17 მაისი. 1896–1897 შაბათი, 17 მაისი, № 200.

ცნობის ფურცელი

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363.

ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ დანიშნულია 25 მაისს, მუშტაიდის ბაღში.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს **ჭავჭავაძისას** (ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21) და „**წერა-კითხვის საზოგადოების**" წიგნის მაღაზიას.

სათავად-აზნაურო თეატრი
დირექცია კ. ს. მესხისა.
საოპერეტო დასი
დღეს, შაბათს, 17 მაისს,
ვ. ბ. შერის საბენეფისოდ
ქ. კრონენბერგის და **ბ. რზუნოვის** მონაწილეობით
წარმოდგენილ იქმნება
ხაჯი-მურად
3 მოქმედებ. ოპერეტი მუს. დეკერ-შენკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. შერი, კრონენბერგი, ლავროვისა, პანოვისა, ბ.ბ. რეზუნოვი, ბოგდანოვი, ბრაგინი, და სხ.
რეჟისორი ნ. ნ. ბოგდანოვი. ლოტბარი ბ. ვივიენი.

მიიღება ხელის-მოწერა
რუსულ-ქართულ
სრულ ლექსიკონზე.

მოხსენებულს ლექსიკონში ჩვენ შევიტანთ ყოველ სიტყვას, რომელიც-კი მოიპოვება უკანასკნელს ხანებში გამოსულს რუსულს ენციკლოპედიურს ლექსიკონებში, იმ თვალ-საჩინო განსხვავებით, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობები გაცილებით უფრო ვრცლად იქნება განმარტებული. ლექსიკონი გამოვა რამდენიმე წიგნად (დაახლოვებით ექვს წიგნად; ამათში ერთი უკანასკნელი, იქნება **ქართულ-რუსული**, რომელშიაც ავხსნით თვით ჩვენს ლექსიკონში ნახმარ ქართულ სიტყვებს) და ეღირება: **ორ-ორი წიგნი ხუთი მანათი გაგზავნით** (თითო წიგნი იქნება 400—500 გვერდი, ე. ი. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ოდენა, რომელიც იყიდებოდა 3 მან. 60 კაპ.). პირველი წიგნი გამოვა ამ შემოდგომაზე; მსურველს შეუძლიან **სამი მანათი** ეხლა შემოიტანოს, ხოლო დანარჩენი **ორი** მანათი პირველი წიგნის მიღების შემდეგ. სანიმუშოდ ჩვენ უკვე დავბეჭდეთ პირველი ფორმა ამ ლექსიკონისა და შეგვიძლიან გავუგზავნოთ მუქთად ყველას, ვინც მოითხოვს. თუ ვინმე როდისმე ცდილა ქართული ტერმინების შემუშავებას, ვსთხოვთ თავიანთი შრომა გამოგვიგზავნონ და ჩვენც დიდის სიამოვნებით შევიტანთ მათ მოხსენებულს ლექსიკონში.

ჩვენი ადრესი: ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.
(5—2) ივანე როსტომაშვილი.

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება
აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა **დრო-გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**

ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით.
ბათომში მოდის—ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.
ფოთიდან გადის—სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ოდესაში მოდის—კვირაობით და სამშაბათობით.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:
ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.

ВЫСОЧ. УТВЕР. О-ВО АЗОВСК. ПАРОХОДСТВА
Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.
Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—І. Б. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**—Я. М. Варшавскаго и **Поти**—А. Д. Гугушвили.
(50—21)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გირრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია. (წ.)

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

თელავში საზაფხულოდ მომსვლელთ შეუძლიანთ იქონიონ

სამი ოთახი სამზარეულოთი, საკუთარის ეზოთი, პატარა ბაღით, რომელშიაც საკუთარი ჭაც არის. ოთახებთან ერთად მიიცემა ყოველივე ავეჯეულება, საკმარისი ერთი პატარა ოჯახისათვის, გარდა საფენისა და ქვეშაგებისა. სახლი ეგრედ წოდებულ ნადიკვარზედ არის და მიიცემა 10 ივნისიდამ ვიდრე პირველ სექტემბრამდე.

ქირა მთელის დროსი ათი თუმანია წინათვე გადასახდელი.

ადრესი: Въ Телавъ, И. Зарапишвили. (5—2)

იყიდება ძველი სახლი
ეზო და შენობის ქვეშ მიწა შეიცავს 150 ოთხ-კუთხ საჟენს. სახლი ორი ქუჩის ყურთან არის 1 და 2 ნაგორნი ქუჩებზე (მთაწმინდაზე).
ფასი და პირობები შეიძლება შეიტყონ საინჟინერო მმართველობაში მოხელე უშაკოვთან. (3—2)

მთავრობის განკარგულება.

სამოსამართლო უწყება.

დანიშნულ იქმნა: დაღესტანის გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანაშემწე, ტიტულიარნი სოვეტნიკი მალინოვსკი—ბათომის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ.

დეპეშა

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

15 მაისი

პეტერბურგი. 14 მაისს დიდის სასახლის ეკკლესიაში, ცარსკოესელოში პროტოპროსვიტერის იანიშევის მიერ გარდახდილ იქმნა პარაკლისი. დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავრინანი და დიდნი მთავარნი.

მოსკოვი. 14 მაისს მოსკოვმა იდღესასწაულა პირველის წლის თავი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევისა. მოსკოვის ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი.

გრუზინსკის ქუჩაზედ სტუდენტებისათვის ასაგებ საერთო საცხოვრებელ სახლის საძირკვლის კურთხევას დაესწრნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედი თეოდორეს ასული.

ტულონი. მათის იმპერატორებითის უმაღლესობის გვირგვინის კურთხევის წლის თავის გამო ნავთ-სადგურში მდგომ გემებზედ ამართული იყო რუსეთის დროშა. ნავოსანნი დათხოვნილ იქმნენ, როგორც სადღესასწაულო დღეს.

ბერლინი. მათის იმპერატორებითის გვირგვინის კურთხევის წლის თავის გამო, რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრო დეპუტატთა სავსენარო იმპერატორის ალექსანდრე სახელის პოლკი.

სტამბოლი. ვოლოდგან ელჩებისაგან მოსულ ამბის გამო, რომ ვითომ ოსმალებს უნდოდეთ იქაურ დამოენაში დაწყობილ საქონლის დასაკუთრება, ელჩებმა მიჰმართეს პორტას და სთხოვეს, ხელს ნუ ახლებთ ამ საქონელსაო.

პარიზი. დიდ სახელმწიფოთა მიერ ოსმალეთისადმი გაგზავნილ მიწერილობაში მოხსენებულია, თანხმანი ვართ თესალიის საზღვარის შეცვლაზე, აგრეთვე სამხედრო საზღაურის გადახდაზე, რაოდენობის გადაუწყვეტლად, ხოლო არა ვართ თანხმანი ადგილების დაპყრობაზედო, მაგრამ უარს არ ვამბობთ ზოგიერთ იმ კერძო გარდაწყვეტილების განხილვაზედ, რომელმაც ბოროტ-მოქმედება გამოიწვია; რაც შეეხება დამნაშავეთა გაცემას, ამას ნაკლებადა აქვს მნიშვნელობაო.

ლონდონი. „Daily Télegraph"-ს დეპეშითა სწერენ ათინიდან, რომ კრიტზე შემდეგი ამბავი მოხდა: ადმირალებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ხელი შეუშალეს სტენკოსის წასვლას გემით თავისის ჯარითა და განაცხადეს, წასვლის ნებას მხოლოდ მაშინ მოგცემთ, როდესაც ჩაგვაბარებთ იმ ზარბაზნებს, რომელიც აკროტირის მეამბოხეთა ხელშიაო.

სოფია. საკასაციო სასამართლომ უარ-ჰყო განაჩენი სტამბულოვის მკვლელობის საქმეში ბრალდებულთა შესახებ და დასტოვა განაჩენის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გეორგიევს შეეხება.

ახალი ამბავი

*** **გორის ხიდის კურთხევა.** 14 მაისს გორელების სასიხარულოდ, როგორც იქმნა, აკურთხეს გორის რკინის ხიდი და ზედ ეტლების მიმოსვლა გაიმართა კიდეც. ამ დღისათვის გორს წაბრძანდნენ ტფილისიდგან ბ. კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი მეუღლითურთ, თავ. ივ. გ. ამილახვარი ოჯახობით, კ. პ. იანოვსკი და სხვა ბევრი წარჩინებულნი პირნი სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა. მობრძანდნენ თუ არა გორს პატივცემულნი სტუმარნი, $11^1/_2$ საა-

თხე, გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომელზედაც მშვენივრად ჰგალობდა შეერთებული საეკკლესიო ხორო სემინარიისა, სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის შეგირდებისა. პარაკლისს შემდეგ ყველა სტუმარნი და სამღვდელოება მიუახლოვდნენ ხიდს; იქ თავ. გოლიცინმა მოკლე სიტყვით მიჰმართა დამსწრეთ და უსურვა ამ ახალს ხიდს, რომ იგი გორელების საკეთილდღეოდ გამართულიყოს. ამის შემდეგ ბ. მთავარ-მართებელმა გარდასცა თავის მეუღლეს მაკრატელი იმ ძაფის გასაჭრელად, რომლითაც ხიდი იყო გაკავებული; კნეინა მარიამ თეოდორეს ასულმა გოლიცინისამ გასჭრა ძაფი და ყველამ გაიარა ხიდზე; სამღვდელოებამ ხიდი ასხურა აიაზმათი. იქიდამ ბ. მთავარ-მართებელი და ყველა დანარჩენნი გაემგზავრნენ სამოსწავლო სემინარიის დასათვალიერებლად. ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ ამ სასწავლებლის საუცხოვო მდგომარეობაში ხილვით და მადლობა გამოუცხადეს ბ. დირექტორს სლოვინსკის და შეგირდებს. ბ. მთავარ-მართებელი ზოგიერთა შეგირდებს ემუსაიფებოდა ბერძნულსა და ქართულს ენაზე. ერთმა შეგირდმა, 12 წლის იმერელმა, საუცხოვოდ და გამბედავად აუხსნა სტუმართ წიგნების აკინძვის ხელობა. მთავარ-მართებელმა დაავალა მას ქართულადაც აეხსნა იგივე; ბავშვმა საუცხოვოდ შეასრულა თავ. გოლიცინის სურვილი, რომელიც გააკვირვა და ასიამოვნა ბავშვის ასეთმა გამბედავნობამ და გამჭრიახობამ.

იქიდამ ბ. მთავარ-მართებელი თავისი ამალათი გაემგზავრა ადგილობრივ თოფის მსროლელ დრუჟინის ჯარის-კაცთა დასათვალიერებლად. მთავარ-მართებელს ძლიერ მოეწონა ჯარის-კაცნი; მადლობა გამოუცხადა მათ და მათს უფროსს.

ბოლოს ბ. მთავარ-მართებელი და სხვა სტუმრები თავ. ივ. გ. ამილახვარმა მიიპატიჟა თავის სახლში სადილად. სადილზე ასამდე კაცი და ქალი ისხდნენ; იქ გასტანეს სალამოს 6 საათამდე და შემდეგ ტფილისისაკენ გამოემგზავრნენ.

ამნაირად გორელებს განუხორციელდათ დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ მათი გულითადი წადილი: გორის ხიდზე გაიმართა ეტლების მიმოსვლა და იმედია, ეხლა მაინც გულ დამშვიდებით და ბეჯითად შეუდგება ყველა მემამულე და გლეხი მეურნეობას, თავის ნაწარმოებს გასავალს უშოვის და მით გააუმჯობესებს თავის დაქვეითებულს ნივთიერს მდგომარეობას; წყალ-დიდობისა და ბუნების სხვა მოვლენათაგან დაზარალებულნი ცოტათი მაინც არის სულს მოიბრუნებენ.

⁂ **ლოთების მკურნალი.** ცნობილი ბ. ალავერდოვი, რომელსაც აქვს გამოგონილი საშუალება ადამიანის ლოთობისაგან განკურნვისა, ამ ჟამად კვლავ ქ. პეტერბურგში იმყოფება და, თურმე, „სიფხიზლის საზოგადოების“ წინაშე შუამდგომლობს, რომ საჭირო სადგომი მისცენ და ნება-რთვის ალებაში დახმარება აღმოუჩინონ, რათა ერთსა და იმავე დროს 500 გამწვავებული ლოთი საუკუნოდ განკურნოს.

⁂ **კავკასიელ მუშებს ავ კაცობა ქ. ოდესსაში.** ოდესსის „რუსეთის საზოგადოების“ კანტორაში ბევრი კავკასიელებია მუშად. იმათ თავიანთი „სტაროსტა“ ჰყავთ ამორჩეული, რომელსაც ყოველისფერში ემორჩილებიან. ამ „სტაროსტას“ ორი კავკასიელი მუშა გაუგდია სამსახურიდან ზარმაცობისათვის. ჯავრის ამოსაყრელად სამსახურიდამ დათხოვნილი მუშები, თურმე, დახვდნენ ღამით თავიანთ უფროსს ბნელს ქუჩაზე და გულში ხანჯალი დასცეს. დამნაშავენი იქვე ხალხმა დააკავა და იარაღი აჰხადა. დაჭრილი-კი საავადმყოფოში გაჰგზავნეს და, ამბობენ, სიკვდილს ძნელად თუ გადურჩაო.

⁂ **საფილოქსერო კომიტეტის განკარგულება.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა დაავალა თავისს აგენტ-ინსტრუკტორებს, რომ მათ ყოველს ორ კვირაში ერთხელ აცნობონ ხოლმე კომიტეტს—რა მდგომარეობაში არიან მათდამი რწმუნებული უბნები ფილოქსერის მხრივ და საზოგადოდ მეურნეობის შესახებაც აძლიონ ხოლმე დაწვრილებითი ცნობანი.

⁂ **დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის შემოწირულება.** მისს იმპერატორობით უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს შემოუწირავს ტფილისის მომავალის მიხეილ მთავარ-ანგელოზის ეკლესიისათვის საჭირო ხე-ტყე—ოცი დიდი ბოძი, ტივად შეკრული.

⁂ **ეჭვიანი ქმარი.** 14 მაისს, დილის $9^1/_2$ საათზე, ვარდის უბანში, ვიღაც ივანე გიულნაზაროვს იქვე აუღია თავის ცოლზე—მღალატობსო და საცოდავი ქალი დანით დაუჭრია ორს ალაგას მკერდსა და კისერში. საბრალო ქალი საექიმოდ გაუგზავნიათ მიხეილის საავადმყოფოში და, თურმე, საშიშ მდგომარეობაშია. დამნაშავე ქმარი კი დაატუსაღეს. ამ ბოლოს დროს გიულნაზაროვი მეტის მეტად ლოთობდა და უსაქმოდ დაეხეტებოდა.

⁂ **ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება.** ჩვენს გაზეთში უკვე მოხსენებული იყო ქუთაისის თავად-აზნაურთა არჩევანების გამო ზოგიერთა ცნობები. ეხლა მოგვყავს ეგ ცნობები უფრო დაწვრილებით:

ქუთაისის მაზრის წინამძღოლად არჩეულ იქმნა კვლავ თავ. დ. ო. ნიჟარაძე (134—4), მისს კანდიდატად—თავ გ. ი. წულუკიძე, მაზრის მხრით დეპუტატად—ა. გ. ერისთავი და მის კანდიდატებად ს. გრიგოლაშვილი და ი. გაბუნელიძე.

შორაპნის მაზრის წინამძღოლად თავ. მ. ზ. აბაშიძე (75 თეთრი), მისს კანდიდატად—თავ. ნ. კ. ხიდირბეგიშვილი, მაზრის მხრით დეპუტატად—კ. დ. მაჭავარიანი (70—5) და მისს კანდიდატად—იას. მდივანი.

ოზურგეთის მაზრის წინამძღოლად—თავ. ს. დ. გუგუნავა (491), მის კანდიდატად—თ. კ. დ. ერისთავი, მაზრის მხრით დეპუტატად—ს. ფ. ხუნდაძე და მის კანდიდატად—თავ. ნ. ყ. თავდგირიძე.

რაჭის მაზრის წინამძღოლად—თავ. პ. ს. წულუკიძე (40—30), მისს კანდიდატად—კვიტაშვილი, მაზრის მხრით დეპუტატად—ლ. ჭიჭინაძე და მის კანდიდატად—ს. ჯაფარიძე.

როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად კვლავ არჩეულ იქმნა თავ. ს. გ. წერეთელი (234-6) ხოლო საკრებულოს მდივნად—ნ. ი. გამრეკელი.

⁂ **სოფლის მამასახლისის მოკვლა.** 8 მაისს, სიღნაღის მაზრაში, ბაკურციხის მამასახლისი ივანე გარელაშვილი მოუკლავს აყალ-მაყალის დროს ცელით იმავე სოფლის იასაულს მიტრო კუმსიაშვილს. („კავკაზი“)

⁂ **ახალი ლექსიკონი.** ბ-ნო რედაქტორო! თქვენც დამეთანხმებით, რომ ხეირიანის ლექსიკონის შედგენა დიდი საქმეა და ღირს მათ, რომ მასზე ორიოდე სიტყვა ითქვას.

ჩვენს ივანე როსტომაშვილს ფრიად სამძიმო საქმისთვის წაუვლია ხელი,—სამძიმო სხვა ყველასათვის და არა მარტო ბ-ნ ივანე როსტომაშვილისათვის, რასაკვირველია, სხვისთვის შეუძლებელი მისთვის ადვილად მოსახერხებელია და სხვისთვის სამძიმო მისთვის თვალის დახამხამებაა.

დიდი ხანია, ჩვენი ახალგაზდობა, მოსწავლე თუ ნასწავლი, სანთლით ეძებს რიგიანს რუსულ-ქართულ ლექსიკონს, რადგან ერთად-ერთი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი არც იშოვება და ვერც არავის აკმაყოფილებს. ამ ნაკლის შევსების საჭიროებას ყველა კარგადა ჰხედავს და გრძნობს, მაგრამ მაინც ვერავის გაუბედნია ამ მძიმე ტვირთის კისრად-ღება. ივანე როსტომაშვილს-კი არამც თუ გაუბედნია, არამედ დაუწყვია კიდეც ლექსიკონის ბეჭდვა და ისიც უბრალო სიტყვათა თარგმნისა-კი არა,—ე-ნ-ც-ი-კ-ლ-ო-პ-ე-დ-ი-უ-რ-ი-სა. ეს „რუსულ-ქართული (?) ენციკლოპედიური ლექსიკონი“ „რამდენამე წიგნად გამოვა ამ წლის შემოდგომაზე და ეღირება წინ-და წინვე ხელის-მომწერთათვის ორ-ორი წიგნი—5 მან... ენციკლოპედიური ლექსიკონი იმდენად სრული და ყოველ-მხრივი იქნება, რომ სავსებით დააკმაყოფილებს ყოველი საქმის პირს (ცხვირს-კი არა?..) რაც შეეხება ლექსიკონის სისრულეს. ჩვენ შევიტანთ მასში ყოველ სიტყვას, რომელიც-კი შესულია უკანასკნელ დროს გამოსულ ლექსიკონებში, იმ თვალსაჩინო განსხვავებით, რომ ჩვენი(ს) ქვეყნის შესახებ ცნობებს, გაცილებით უფრო ვრცლად და სავსებით შევიტანთ, ვიდრე ეს უკვე გამოსულს ლექსიკონებშია შეტანილი, რომლებიდამაც (?) ათასობით არის გამოშვებული ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობები და სიტყვები“.

შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ განცხადების დაბეჭდვას „შეტანილ-გამოსულ გამოშვებულის“ ავტორმა ყურადღება არ მიაქცია, ხოლო თვით ტექსტი ლექსიკონისა შემუშავებული იქმნებაო. სრულიადაც არა! აი, ბ-ნ როსტომაშვილის მიერ ნიმუშად დასტამბულია დასაწყისი ლექსიკონისა: გვერდი მესამე: „ა რიცხვში დანიშნავს ერთსა და ფულის ანგარიშში ნიშნითურთ—ერთს თუმანს“.. „ჯიბის საათებში შიგნით, მესწორის ერთის მხრით დაწერილია ა‘‘; ,,ააზენი—ნორვეგელთა სახალხო ენის ცნობილი მეცნიერი და მკვლევარია‘‘... ,,დიდად სცდილობდა ყოველი მცენარისათვის მშობლიური ენის სახელი მიეკუთვნებია‘‘... ,,შეუდგა ადგილობრივი ლაპარაკის შესწავლას‘‘... „შეუდგა სამშობლო მხრის მცენარეთა შესწავლას‘‘. გვ. მეოთხე: ,,მისი ახალი შრომანი იმდენად საყურადღებო აღმოჩნდა, რომ მცენარეთა ყურადღება მიაქციეს‘‘. ,,აანა—სანჯაყი და ქალაქია მდ. ეფრატზე‘‘. გვ. მეხუთე: ,,минеральныя воды‘‘; ,,საზაფხულო მკურნალობა გრძელდება 1 მაისიდგან ღვინობისთვის ბოლომდის‘‘. გვ. მეექვსე: ,,შესანიშნავია‘‘, ,,მაიდანი‘; ,,მასში (საბჭოს სახლში, თუ კოშკში?) სხვათა შორის არის დარბაზი, რომელშიაც კურთხებულა 35 გერმანიის იმპერატორი‘‘... უკანასკნელ ჟამს ეს შენობა შეაკეთეს და კედლები მოხატეს სხვა-და-სხვა ამბით კარლოს დიდის ცხოვრებიდამ. საბჭოს წინ აგებულია შადრევანი კარლოს დიდის ბრინჯაოს ქანდაკით‘‘... ,,იმპერატორთა კურთხევის გადატანამ ქ. ფრანკფურტში‘‘... ,,აბადონ—მომსპოლველი, დაღუპვა, გახრწნა‘‘. გვ. მეშვიდე: მდ. ყუბანის და ყუმის გაყოლებით‘‘. აბაგის—ქსოვილებს აკეთებენ ადგილობრივაც, ფილიპეს კუნძულებზე, რომელიც აგრეთვე საკმაოდ ბევრი გამოაქვთ ევროპაში“. აბაკანი—მარცხენა ტოტი (ПРИТОКЪ?) მდ. ენისესი‘‘; ,,მისი სათავენი პირველად მოგზაურმა ჩიხარევმა აღმოაჩინა‘‘. გვ. მერვე: ,,შემოერტყა ერივანს‘‘... ,,ერივანი დამორჩილდა“. ,,კახელები შეითქვნენ, დასვეს ალექსანდრეს მეუღლე, ქეთევანი, მეფედ“. ამაზედ ნაკლები ხეირი არც ქართლის მეფეს, გიორგის, დააყარა შაჰ-აბასმა‘‘...

ამისთანა შეცდომა და შეცოდება წინაშე ქართულისა და რუსულის ენებისა და გრამმატიკებისა ბ-ნ როსტომაშვილის სანიმუშო ფურცელში მრავლისაგან მრავალია. ხოლო ესეც საკმარისია იმ აზრის დასასაბუთებლად, რომ ბ-ნ როსტომაშვილს არც ნიჭი აქვს სალექსიკონო და არც ცოდნა; კარგს ინებებს დაუღალავი მშრომელი და დიდად დაავალებს ქართველს ერს, რომ ეს მძიმე ტვირთი სხვას დაუთმოს.

რა მხრივაც უნდა შევხედოთ ამ შრომას, დაკვირვებასაც, რომ თავი ვანებოთ, მოსაწონს ვერარას ვიპოვით. გარეგნობითაც-კი ულამაზო და ულაზათოა, აქლემის ოდენა ასოთი და ცუდს ქაღალდზედ ნაბეჭდი, რაც სრულიად არ შეეფერება ლექსიკონს და ისიც ,,ენციკლოპედიურს‘‘. სწორედ მადლობა უნდა ვუძღვნათ ბ-ნ როსტომაშვილს, რომ წინადვე დაგვანახვა ნიმუში თავის ,,ენციკლოპედიურის ლექსიკონისა“, თორემ თითონაც სირცხვილში ჩავარდებოდა, რადგან ამ მძიმე საქმეს ბოლოს ვერ გაატანდა, საზოგადოებასაც ვერ დააკმაყოფილებდა აჩქარებულად გამოხანსლულ წიგნებით.

ერთი რამ კიდევ უნდა შევნიშნოთ, თუმცა ბევრი რამ არის სათქმელი ლექსიკონების გამოცემის შესახებ. ბ-ნ როსტომაშვილს, როგორც ქართველ კაცს, ანგარიში არა სცოდნია და სწორედ იმიტომ ვერ გამოუცხადებია, რავდენ წიგნად უნდა გამოვიდეს მისი „ენციკლოპედია“, უკეთუ ჩვენს რჩევასა და თხოვნას არ შეიწყნარებს. ვეცდებით საგულისხმოში ჩავაგდოთ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ რუსულს ენაში დღეს ორასი ათასამდე უცხო სიტყვა ურევია. თვით რუსებსაც ექმნებათ საკუთარი ორმოცი ათასი სიტყვა, თუ მეტი არა რუსულს ენციკლოპედიურს, ლექსიკონებში, რასაკვირველია, ყველა ეს სიტყვები უნდა ჰქონოდა ბ-ნ როსტომაშვილს „შეტანილი“. გარდა ამისა ბ-ნი როსტომაშვილი გვპირდება, რომ „მასშივე შევიტანთ იმ სიტყვებსაც, რომლებიც განსხვავებულად იწერებიან რუსულისაგან“ (?) და „ბოლოში დასტამბული ექმნება თვით ქართულ-რუსული ლექსიკონიცაო“. ეს „გარდაიაც“ „შეტანს“ ვგონებ ათიოდე ათას სიტყვას, თუ მეტს არა. მაშასადამე, ენციკლოპედიურს ლექსიკონში „შესტანი“ იქმნება არა ნაკლებ 250,000 სიტყვისა. ახლა ვნახოთ, რამდენს გვერდსა და წიგნს დაიჭერს. სანიმუშოდ დასტამბულს ექვს გვერდზედ მოთავსებულია ოცდა ათამდე სიტყვა, მაშასადამე, თითო გვერდი მოუნდება ხუთს სიტყვას; 250,000 სიტყვა, რომ ხუთად გავყოთ „გამოვა“ 50,000 გვერდი. თითო წიგნში იქმნება, როგორც ბ-ნი როსტომაშვილი აცხადებს, 400—500 გვერდი. ამ შემთხვევაში სულ მეტი მივიღოთ და 50,000 გვერდი 500 გავყოთ, გამოვა 100 წიგნი? პირობას გვაძლევს ბ-ნი როსტომაშვილი, რომ თავის საცოცხლეში ამისთანა „ენციკლოპედიურს ლექსიკონს“ გაგვითავებს? ერთს-ორს წიგნს მოგვაგდებს და გუდა-ნაბადს მოგვაყრის, ახლა თქვენ იცით, რაცა გსურთ, ი ინებეთო? *)

მოკეთე.

⁂ **ქალაქის მომავალი არჩევანები გამო.** როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, ქალაქის გამგეობი განკარგულებით უკანასკნელი ვად ხმოსნობაზე კენჭის ყრის თანხმობი გამოცხადებისა დანიშნული იყო 1 მაისს. ამ ჟამად სამოქალაქო საქმეთ გუბერნიის საბჭოს განუმარტავს, რო ზემო აღნიშნულის თანხმობის გამოცხადება, კანონის ძალით შეიძლებ თვით არჩევანების დღემდე, სანამ საარჩევანო ყუთები არ დაიდგმება, ამი გამო ქალაქის გამგეობა ხელ-ახლა დებულობს განცხადებებს და იმედი ქართველი კანდიდატებიც, ვისაც ჯერ არ გამოუცხადებია თანხმობა ისარგებლებენ ამ უფლებით.

დღემდე ქალაქის არჩევანებზ დასასწრები ბარათები ქალაქის გამგეობას 1007 ამომრჩევლისათვის მიუცია.

⁂ **ბათომის გიმნაზიის შენობი გამო.** ბათომს რის ვაი ვაგლახი ელირსა გიმნაზია, მაგრამ უბედურო ეს არის, რომ ბინა ვერ უშოვენ მომავალის შენობისათვის 2600 ოთ კუთხედი საჟენი ადგილია აღნიშნული სტუსაღოს გვერდით, მაგრამ ე შენობა, ეხლავეც რომ დაიწყონ ორ წელიწადზე ადრე მაინც ა მოესწრება. ამის გამო ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილი ჰქონდა დროებით დაექირავნა ქართულისა და ბერძნების სკოლების შენობები, რისთვისაც წელიწადში დაეხარჯებოდათ 8500—9000 მან. ზემოხსენებულის სკოლების კომიტეტის ზოგიერთმა წევრებმა თანხმობა გამოაცხადეს. ამ დროს 15 ხმოსანს გამოუცხადებია საბჭოსათვის, რომ სახლების დაქირავებასა ისა სჯობია ავაშენოთ ა თავითვე დროებითი ხის ანუ ბეტო

---

*) თავისს საკუთარს აზრს ამ საგანზ რედაქცია გამოსთქვამს ცალკე წერილში.
რედაქცია.

ნის შენობა, რომელიც 19 ათას მანათად დაჯდება და 15 აგვისტომდე მზად იქნებაო; ამასთანავე იგივე ხმოსნები თხოულობენ, რომ ამ თავითვე შეუდგნენ სამუდამო შენობის აგებას გიმნაზიისათვის, რომელიც 75,000 მანათი დაჯდებაო. საბჭოს ეს წინადადება, სხვა-და-სხვა მოსაზრების გამო, არ მიუღია და ისევ პირველს მოსაზრებაზე დამყარებულა.

ეხლა სავალალო ის არის, რომ სკოლების დათმობაზე მთელი კომიტეტი როდი არის, თურმე, თანახმა, არამედ რამოდენიმე წევრი და ისიც ისეთები, რომელთაც რწმუნების ვადა დიდი ხანია გასული აქვთ. („ნოვ. ობოზრენიე“).

⁂ **ქ. ოზურგეთი.** **ცეცხლის გაჩენა.** 13 მაისს, ღამის მეორე საათზე, ვიღაც ბოროტ-მომქმედებს ფურნის ოთახის მაღლა იატაკზე დაესხა ნავთი და წაუკიდებია ცეცხლი. აქ ეყარა ჩალა და ჩეჩქი. როდესაც ალი გამოჩნდა, უშველოს ღმერთმა, ერთს მეფურნეთაგანს დაენახა ეს უშველებელი ალი და მაშინვე თავისს ამხანაგებისათვის შეეტყობინებია და ხელად მიეშველებოდნენ ცეცხლის გაძლიერებამდის, თორემ, თქვენი მტერია, სულ გადიბუგებოდა მთელი ქუჩა. ურიგო არ იქნება, რომ სადაც ეს მოხდა, იმის ახლო-მახლო გასწმინდონ და აალაგონ ჩეჩქი და ცხენის თავლა. კიდევ რომ გაუჩნდეს ცეცხლი, მაშინ რაღა უშველის!.. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას ვისიც ჯერ არს.

მ. რ.

⁂ **სურამი.** **საფოსტო კანტორის გადატანა.** 8 მაისს აქაურ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა (მეხუთე კლასისა) თავისის შტატით (რომელიც შესდგებოდა: კანტორის უფროსის ალექსანდრე სიმონის ძე მაჭარაშვილისა, იმის თანაშემწე დავით მიხეილის ძე ლოლაძისა, ხუთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელისა და ერთის ფოსტალიონისაგან) გადმოტანილ იქმნა დაბა ხაშურში, თანახმად ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის განკარგულებისა. სურამში დარჩა მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება; ზემოხსენებულ შტატიდან აქ დასტოვეს განყოფილების უფროსად ბ. მაჭარაშვილის თანაშემწე ბ. ლოლაძე, ერთი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე და ერთიც ფოსტალიონი. დანარჩენი შტატისა ბ-ნი მაჭარაშვილი, ოთხი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელით გადმოყვანილ იქმნა ხაშურში, სადაც გაიხსნა ისეთის ხარისხის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, როგორიც აქნობამდის სურამში იყო. ბ-ნი მაჭარაშვილი დანიშნეს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსად; იმის თანაშემწედ დანიშნეს ხაშურში მეექვსე კლასის ფოსტის კანტორის უფროსად ნამყოფი დავით თომას ძე მებურიშვილი.

7 მაისს სურამის საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა ბ. მაჭარაშვილს, რომელზედაც დაესწრნენ სურამის ფოსტის ყველა მოხელენი. ბ-ნ მაჭარაშვილს დიდი პატივი ჰქონდა დამსახურებული სურამის საზოგადოებაში და ღირსიც იყო, რომ დიდის პატივით გაესტუმრებინათ სურამიდან. სადილზე ბევრმა განათლებულმა პირმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც იხატებოდა მწუხარება და სინანული სურამის საზოგადოებისა ბ-ნ მაჭარაშვილის გამოთხოვებაზე. საღამოზედ ბ-ნი მაჭარაშვილი გამოეთხოვა სურამის საზოგადოებას და თავისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელითურთ ჩამოვიდა დაბა ხაშურში, სადაც აგრეთვე დიდი სიამოვნებით მიეგება საზოგადოება.

ფოსტის მოხელე იოსებ დევაძე.

⁂ **დ. ლანჩხუთი** (გურია). **ბიბლიოთეკის საქმე.** წარსულ წლის ივლისის თვეში საგანგებო კრება მოხდა ლანჩხუთის უფასო ბიბლიოთეკის ზოგიერთის კითხვების გადასაწყვეტათ. ამავე კრებაზე აირჩიეს სამი ახალი პირები, რომლებსაც მიანდვეს სამკითხველო-ბიბლიოთეკის წინამძღოლობა. დღემდე ეს პირები პირ-ნათლად ასრულებენ თავიანთ ნაკისრ საქმეს და ცდილობენ მის გაუმჯობესებაზე, მაგრამ ბიბლიოთეკის საქმე ჯერ კიდევ ვერ არის ისე მოწყობილი, როგორიც საჭიროა. როგორ მდგომარეობაშიაც დღეს სამკითხველო-ბიბლიოთეკაა, ამნაირად იმისი გატარება ყოველ წლობით შეუძლებელია. ორმოც კაცს თუ ხელი მოუწერია წევრობაზე, ოცს ფული არ შემოუტანია და მისი ხელმოწერილი დღესაც ხელ-მოწერილად არის დარჩენილი. თუ წიგნების სავაჭრო მაღაზია აქვს სამკითხველოს, იმის მოსაგები თითქმის შიგ მყოფ მოსამსახურე ბიჭს სჭირდება და სამკითხველოს დიდი არაფერი მოსაგები რჩება. სამკითხველოს ჯერ მრავალი მოთხოვნილებები აქვს და ყველაზე მეტად-კი სახლის უქონლობა აჭირვებს საქმეს. წარსულ წელში ისეთ სახლში მისცეს ას-ოცი მანათი, რომელიც დღეს ოც-და-ათი მანათი არა ღირს და დანარჩენი 90 მანათი დაიკარგა წინ-დაუხედველობით. ას-ოც მანათად შეიძლებოდა ისეთი სახლის ყიდვა, რომელიც სამკითხველო ბიბლიოთეკისთვის საკმარისი იქნებოდა 7—8 წელიწადს და შემდეგში თუ კიდევ უფრო დიდი სახლი იქნებოდა საჭირო, შეძლებულიყო ნახევარ ფასში მაინც გაყიდულიყო. დღეს-კი არც 120 მანათი გვაქვს და აღარც სახლი. ხელმეორედ სამწუხაროდ გაგვხდომია. ივლისის თვეში წლიური ანგარიში მოხდება; რა შემოსავალ-გასავალი ჰქონია სამკითხველოს წლის განმავლობაში. ამავე კრებაზე ექნებათ ლაპარაკი აგრეთვე სახლის მოპოვების შესახებ და სხვა მრავალ საგნებზე. ჩემის აზრით, საჭიროა ამ კრებაზე აღიძრას ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა საშუალება იხმარონ სამკითხველო-ბიბლიოთეკას საფუძვლიანი საშუალება ჰქონდეს შესანახად. ეს შეიძლება მხოლოდ ერთის საშუალებით, თუ ისეთ სახლს აუგებენ სამკითხველო-ბიბლიოთეკას. რომელშიაც შეიძლებოდეს საღამოები და წარმოდგენები გაიმართოს, რომელიც სამკითხველოს ყოველ დროში სარგებლობას მოუტანს და იმ სარგებლობით ისულდგმულებს სამკითხველო. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენს დაბაში სცენის მოყვარეები საკმარისად არიან და როცა სახლი, ე. ი. მუდმივი სცენა ექმნებათ, აღარც წარმოდგენის გამართვა იქნება საძნელო. საჭიროა აგრეთვე სამკითხველო-ბიბლიოთეკას კომიტეტები მოემატოს, როგორც კაცები, აგრეთვე ქალებიც, რადგანაც დღევანდელი ხანა ნათლად გვიჩვენებს ქალებს მეტი განმავლობა აქვთ, მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ამგვარ საქმეებში, ვინემ კაცებს. ჩვენს დაბაში ეს მით უფრო საჭიროა, რომ ქალებსაც საქმე გაუჩნდებათ და ეცდებიან წარმოდგენები და ლატარია-ალეგრი გამართონ, რომლისაგან შემოსული ფული, რასაკვირველია, სამკითხველოს მოხმარდება. ერთის სიტყვით, თუ კარგი გულ-შემატკივრები ეყოლება კომიტეტებად სამკითხველო-ბიბლიოთეკას, ქალები იქნება თუ კაცები, ყოველ დროში საქმე კარგად წავა და არც ისე გასაჭირი იქნება სამკითხველოს არსებობა, როგორც დღეს არის.

კარგი იქნება აგრეთვე სამკითხველოს სავაჭრო მაღაზიაში იყიდებოდეს გერბის მარკები, ვექსილები, ნასყიდობის ქაღალდები და სხვა, რომელიც ყოველ დროში სარგებლობას მოიტანს და არა ზარალს. თუ ამნაირ ნიადაგზე დავამყარებთ ჩვენ სამკითხველო-ბიბლიოთეკას, იმ შემთხვევაში შეიძლება იმედი ვიქონიოთ არას დროს არ ჩაქრება და ლანჩხუთს ექნება ეს ძვირფასი საუნჯე.

კონტი.

⁂ **დ. აბაშა.** „თვალი [illegible] კ[illegible]ერიაო“, რომ იტყვიან, მართალი ყოფილა. თუმცაღა ქვემო მოყვანილი ამბავი საინტერესო არ არის, მარა სხვებიც ასეთ მაგალითს რათა ასცდნენ, საჭიროდ მიმაჩნია ეს სამარცხვინო მაგალითი გაზეთის საშუალებით გავამხილო. დაბა აბაშაში დიდი ხანი არ არის, ერთმა ვაჭარმა ივანე ქორჩილავამ, თავისი პატიოსნური პატარა ვაჭრობიდან გვარიანად გააჩაღა თავისი საქმე; ამას არავინ არ დაამადლის მას, რომელთაც მისი პატიოსნება სჯერათ. ამ მოკლე ხანში ხსენებულმა ივანე ქორჩილავამ გახსნა რესტორანი, სწორეთ ევროპიულად მორთულის ოთახებით, კარგი საჭმელებით, სუფთად და იაფად. ეს მისმა მეზობლებმა, მისმა თანამგრძნობმა ყმაწვილებმა ძლიერ იწყინეს, პირდაპირ დეპეშა დაუკრეს აქციზის უფროსს: „ვაჭარი ივანე ქორჩილავა უპატენტოთ სასმელებს ყიდის და ვაჭრობსო“. როგორც რიგი მოითხოვდა, იმის პატენტი კიდევაც ქონდა, ხოლო სასმელები სხვა დუქნიდან მოქონდა, როგორც მუშტარი მოისურვებდა... იმავე დღესვე, შუადღის მატარებლით ჩამოვიდნენ აქციზის მოხელეები, ჩამოსვლის უმალვე „მედანოსები“ მოითხოვეს და ისე გასწიეს ივანე ქორჩილავას „რესტორანში“. ყველაფერს რევიზია უყვეს, მაგრამ იქ არც სასმელები აღმოჩენილა და არც რამე უნებო დაურთველი გასაყიდი. მრავალი ხალხის თანა დასწრებით, აქციზის მოხელებმა კარგად გამოაწითლეს ხსენებული დამასმენლები ასეთის ცრუ დაბეზღებისთვის. ეგრეთ წოდებულ დამბეზღებელთ ეგონათ ამ ამბავს ისე გამოიძიებენ, რომ ჩვენ არას გვკითხავენო, მაგრამ თავისი სამარცხვინო სურათი გამოეხატათ. საკვირველი ის არის, რომ ამ პირებს არა ერთხელ დრო გაუტარებიათ ივანე ქორჩილავას ოჯახში, მაგრამ სულ მოკლეობამ მაინც თავისი გაიტანა.

მოვაჭრე.

⁂ **ქ. ახალციხე.** **ორიოდე სიტყვა ჩვენს ყასბებზედ.** „სოფელი ვენახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო“-ო, სწორედ ასე ემართება ჩვენს დაჩაგრულს „ძველს ნაწილს“; გაგონილა, თუ ღმერთი გრწამსთ, სოფელი რომ იყოს, მაინც მამასახლისი და გზირები გვეყოლებოდა. ჩვენში-კი არც სოფლის წესდებულობაა და არც ქალაქისა. დიდი ხანია ახალციხის თვით-მმართველობამ დაივიწყა სრულებით ჩვენი „ძველი ნაწილი“ და აღარც-კი უნდა გაგება მის ავ-კარგიანობისა. ახალციხის „ახალს ნაწილს“ და „ძველს ნაწილს“ აერთებს ერთი საზარელი აღმართი სადაც სწორე გზაც არ არის, რომ ეტლმა ამოიაროს. ამ წელს, 6 იანვარს, ახალციხის მცხოვრებს სოლომონ ხითაროვს გადაუბრუნდა ეტლი და ოჯახობით გადავარდა თხრილში; მადლობა ღმერთს, ოჯახობა-კი გადაურჩა, მაგრამ თვითონ თავი შესწირა, 3—4 დღის შემდეგ საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა. (ეს პირველი შემთხვევა არ არის და მრავალ-ჯერ მომხდარა ესეთი შემაძრწუნებელი ამბავი). საწყალი ხალხი იმას გაიძახის: „რატომ ქალაქი გზას არ აკეთებსო“, მაგრამ მათი ძახილი ამაოა, რადგანაც „ქალაქს ფული არა აქვსო“. ერთის მხრითაც ლაპარაკი უსაფუძვლოა, რადგანაც, რას გავაწყობთ, რა შეგვიძლია: „წისქვილმა ჩემი ფქვასო, ვინც რა უნდა თქვასო“, ჩვენი ახალციხის თვითმმართველობაც ამ ანდაზას იძახის: ჩვენ ჩვენსას ვიქთო და თქვენ რაც გინდათ ის თქვითო.

მაგრამ ეხლა ყასბებმაც მოინდომეს „ძველი ნაწილის“ დაჩაგვრა: „მოდი ჩვენც ჩავჰკრათ ერთი წიხლიო, ჩვენ რაღა დაგვიშავებიაო“. არასოდეს არ ყოფილა, რომ ახალციხეში ხორცის ნიხრი 8 კაპ. ყოფილიყოს; კი, „ახალ ნაწილში“ მუდამ წელს იყიდება 8 კაპ. ხორცი, მაგრამ იქ მაინც რიგიან საქონელს კლავენ.

წელს ჩვენშიაც (ძველს ნაწილში) გახადეს გირვანქა 8 კაპ., მაგრამ, ღმერთო ჩემო! განა ეს ხორცია? წარმოიდგინეთ, 10—12 მანათად ყიდულობენ ნამკვდრევ კამეჩს და მის ხორცს გირვანქას 8 კაპეიკათ ჰყიდიან და თუ დაეკითხე: „ხომ კამეჩისა არ არის ეს ხორციო“? ღმერთსა და რჯულს იფიცებიან: „უშობელი ძროხააო“, მაგრამ ამ შემთხვევებს არავინ აღევნებს თვალს.

აქობამდე დიდი სიბინძურეც იყო ჩვენს ყასბებში, მაგრამ ახალმა პატივ-ცემულმა მაზრის უფროსმა რიგზედ დააყენა ეს საქმე და იმედიც გვაქვს, რომ ამ შემთხვევებსაც მიაქცევს ყურადღებას და მოსპობს.

რაბათილი.

⁂ **კახეთი.** **ისევ სკოლაზე.** მე მქონდა მოხსენებული ორიოდე სიტყვა კახეთის სამეურნეო ორკლასიან სკოლაზე, „ცნობის ფურცელში“ № 139 ში, იმის შესახებ, თუ სადა სჯობია დაარსდეს ის სამრეწველო ორკლასიანი სკოლა ბაღოსნების განყოფილებით, რომლის დაარსებაცა აქვს აზრად ქართველთა საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თელავის მაზრაში. მე იმ აზრისა ვიყავ, რომ საუკეთესო ადგილად უნდა ჩაითვალოს სოფ. ენისელი.

ბ. შილდელს კრიტიკოსს ეს სიმართლე დიდათ სწყენია. როგორ-თუ შილდელების სკოლისათვის ამორჩეული ალაგი დაიწუნესო და ხმა დაძრეს მასზედაო!..

„ენისელი დედა ქალაქი იყოვო, ამბობს ავტორი და ამიტომ სკოლაც იქ უნდა დავაარსოთო“. მოჰყავს ბ. შილდელს კი, ვითომ მე ვამბობდე ამას. მე ეს აზრი სრულიადაც არა მქონია და არც მითქვამს, რომ ენისელი დედა ქალაქი იყო და ამისათვის სკოლაც აქ უნდა დავაარსოთ მეთქი, და თუ თვით დაუსკვნია ეს, არ ვიცი საიდგან! მე მხოლოდ ისა ვსთქვი, რომ ს. ენისელი შუაგული ადგილია მთელი მაზრისა და, როგორც თვით ქ. თელავი, აგრეთვე მთელი მისი მაზრის სოფლებიც სულ გარს არტყია ამ სოფელს; რამდენიმე სოფელი კიდევ სულ ახლო 1—3 ვერსის მანძილზედა აქვს შემოხვეული, მაგ. საბუე, ალმატი, გრემი, აღდგომა და სხვა. რადგანაც ს. ენისელი მაზრის შუაგულს წარმოადგენს და სხვა მრავალი სოფლები ჰყავს გარს შემოხვეული შვილებივით, ამისათვის დედობას გაუწევს, როგორც წინად უწევდა დედობას და დიდს სარგებლობასაც მოუტანს მთელს მაზრის მცხოვრებთ, უკეთუ აქ იქნება დაარსებული ხსენებული სკოლა მეთქი». შეგირდებს მდ. ჩელთში გასვლა-გამოსვლა არ დასჭირდებათ, რადგანაც სასწავლებელში იქმნება საზოგადო საცხოვრებელი ოთახი (общежитіе), სადაც იქმნებიან ახლო-მახლო სოფ. შეგირდებიო“. ბრძანებს შილდელი კ. და თანაც ჯავრობს: „ბ. ავტორს არა სცოდნია ამ სკოლის წესდებაო“. საქმეც ის გახლავთ ბატონო! რომ შეგირდები ს. შილდაში იცხოვრებენო (სასწავლებლის საზოგადო ოთახში) და ყოველთვის დასჭირდება მდ. ჩელთაში გასვლა-გამოსვლა, რადგანაც იქ უნდა შეისწავლონ პრაქტიკულად ბაღოსნობა!.. თუკი შეგირდები საზოგადო საცხოვრებელს ოთახში ისხდებიან და ბაღს თვალითაც ვერ დაინახამენ, საიდგან შეისწავლიან პრაქტიკულად ბაღოსნობას და ან ის საბაღე ადგილი რა სარგებლობას მოუტანს მათ?!. „თუკი ბ. ბ. ენისელებს, რომელთა რიცხვიც 1100 არ აღემატება, გაუჭირდებათ მდ. ჩელთში გასვლა, რომ შილდაში მივიდნენო“... ს. ს. საბუე, ენისელი, გარემი, ალმატი, აღდგომა და სხვ. რაღა უყავ ბ. შილდელო კ. ამ სოფლებმა რაღა დაგიშავეს, განა აქ ხალხი არა სცხოვრობს? მგონი ეს სოფლებიც ენისელს 1—3 ვერსის მანძილზედ ახვევია გარს. და მდ. ჩელთის გამოღმა მდებარეობენ?.. საკვირველია, რომ მარტო თქვენი გასამართლებელი საბუთები მოგგონებიათ და 15—30 ვერსის მანძილზედ მდებარე სოფლები: ყვარელი და ბეჟანიანი-კი მოგიხსენებიათ თქვენს პასუხში და ახლო მდებარე სოფლები კი გულიდგან გადაგვარდნიათ!.. „იგივე ჩელთი არ უნდა გაიარონ შილდამ, სადაც 4100 მცხოვრებია, ბეჟანიანმა, სადაც 3000 მეტი მცხოვრებია და მრავალმა სხვა სოფ., რომ ენისელში მივიდესო? მარა ავტორს როცა ეს სტატია უწერია ეს გარემოება ვერ წარმოუდგენია“. დასძენს ბ. კრიტიკოსი. მე ძალიან მიკვირს ბ. კრიტიკოსს ს. ს. ყვარელი და ბეჟანიანი მოჰყავს დასამტკიცებელ საბუთებათ აქო და ამბობს, რომ ამდენი და ამდენი მცხოვრებიაო. ვერ გამიგია ამით რა უნდა დაამტკიცოს! და ბ. შილდელი კი ამ სოფლებიდგან აპირობს

შეგირდების სასწავლებელში სიარულს. ეს შეუძლებელი და გასკვირველიც არის! მე კი, არამც თუ არ მინახამს ასეთი სასწაული, რომ შეგირდებს 15—30 ვერსის მანძილიდგან ევლოთ სასწავლებელში არც მსმენია და არ ვიცი ბ. შილდელს რად მოჰყავს ეს!., ს. ყვარელი 1[illegible] ვერსის მანძილზე მდებარეობს სოფ. შილდიდგან და ენისლიდგან და ბეჟანიანი კიდევ 30 ვერსის მანძილზე. თუ უკაცრავად არ ვიქნები, თვით კრიტიკოსს ვერ წარმოუდგენია ეს გარემოება კარგად, თორემ მე მოსაზრებული მქონდა რასაცა ვსწერდი. „შილდელებს, სადაც საბალე ადგილი დაუთმეს სკოლის, საუკეთესო ვენახები აქვსთ, საიდგან და როგორ შეიმუშავებენ ხოლმე. ის მაინც გაიხსენეთ—ისე დღე არ გავა ენისლელი დედაკაცები შილდაში არ მიდიოდნენ რაიმე საქმისათვისაო, მაშ როგორ გადიან მდ. ჩელთას“? ძალიან კარგი და პატიოსანი, ბ-ნო, მაგრამ ჩვენ ხომ ის არა გვქონია მოხსენებული, რომ 1 მარტიდგან, მდინარის სიდიდისა გამო 1 ივნისამდინ შილდაში მიმოსვლა შესწყდება ხოლმე და ვერც არავინ შილდაში მიდის და ვერც-არავინ იქიდგან გამოდისო? კაცებიც და დიად და დედაკაცებიც, მაგრამ როგორ და რით? სადაც კაცი გავა წყალში განა იქ ყმაწვილისათვისაც შესაძლებელია გასვლა?, ყოველთვის ფეხით გადიან ამ მდინარეში? ყოველთვის ფეხთ დაიხადონ შეგირდებმა და წყალში ჰოპონ? ყოველდღე დედაკაცები გადიან ამ წყალშიო“. ბევრჯელ ურემიც ვერ გადის ხოლმე და დედაკაცები გავლენ ფეხით? რამდენჯერ ამოუტრიალებია ურემი და სხვა ეტლი ამ მდინარეს? ეს ყოველივე მივიღოთ მხედველობაში და ისე გავსინჯოთ. ეს რა საბუთია, ბ. შილდელო, რომ შილდელები მდ. ჩელთის გაღმა ვენახებს აკეთებენ? განა ეს გასამართლებელი საბუთია რადგანაც შილდელებს ამ ვენახებისათვის ყოველივე საჭირო ნივთი ურმებით გააქვთ გაღმა, ამისათვის შეგირდებისათვისაც შესაძლებელია ამ წყალში გასვლა ფეხით?!.

ს. ბახტრიონის (თიანეთის მაზრა), [illegible] და აგრეთვე სხვა მრავალს სოფლებსაც, მთელი ვენახები სულ ალაზნის გაღმა აქვსთ ს. ახმეტაში, მაგრამ შილდელებზედ ნაკლებ ისინი არ შეიმუშავებენ ხოლმე ამ ვენახებს. მაშასადამე, რადგანაც ბახტრიონელები ალაზნის გაღმა აკეთებენ ვენახებს, ყმაწვილებისათვისაც, შესაძლებელი იქნება ამ წყალში ფეხით გასვლა გამოსვლა!.

დასასრულ ბ. შილდელი გვირჩევს, რომ ს. ენისლის ავადმყოფთა თავშესაფარს მოუაროთ, რათა არ გაგვიფრინდეს ხელიდგან და როგორც დიდსა და მდიდარს ს. შილდაში არ დასკუპდეს; ენისლელები მონატრულნი არიან საავადმყოფო თავიდგან მოიშორონ: „დიახ ბატონო! თქვენ ამაზედ რადა სწუხდებით, თუ-კი ენისლელებს თავიდგან მოშორება უნდათ საავადმყოფოსი თვით იშოვნიან კაცს, რომელიც ასწავლის მათ გზას და საავადმყოფოს თავიდგან მოშორებით აიცილებს მათ მის ხარჯსაც. თუ ენისლელები ხარჯს ვერ უძლებენ და შესცდნენ, რომ იკისრეს საავადმყოფოს სახლის ქირა, მდიდარი შილდელები მანდ არა გვყავანან?“..

მ. ა. ვ.

სამეცნიერო ცნობა

მიწის ძვრა ინგლისში. 5 (17) დეკემბერს დილის 5 საათ. 32 მ. ინგლისის მთელს სიგრძეზე მოხდა სუსტი მიწის ძვრა, სივრცით 50 კილომეტრზე. ამ მიწის ძვრამ თვალსაჩინო ზარალი მოიტანა. ასეთივე მიწის ძვრა იყო ინგლისში 1863—1868 და 1884 წლებში.

⁂

შავი ჭირის წამლობა გერსანის მოგონილის საშუალებით. უცხოეთის ყველა ჟურნალ-გაზეთებში მოყვანილია ანგარიში იმის შესახებ, რომ შავი ჭირის წამლობას საფრანგეთის შესანიშნავი ბაკტრიოლოგის მოტანილი შრატით ყოველთვის კარგი შედეგი მოჰყვება ხოლმეო. კანტონში, მაგ., როგორც ერთი აქაური გაზეთი ამბობს 27 შავი ჭირით ავადმყოფი კაცი სრულიად განთავისუფლდნენ, როცა ეს შრატი აუცრეს. პირველად ცხოველებზე სცადეს ეს საშუალება. შემდეგ აუცრეს ერთ სემინარიის შეგირდს, რომელიც, თუმცა საიმედო აღარ იყო, მაგრამ მაინც გადურჩა სიკვდილს. მრავალ ამისთანა ცნობებს იძლევიან სხვა-და-სხვა ჟურნალ გაზეთები, მაგრამ ჯერ კიდევ სრული იმედი ვერ გვექმნება მისი.

წვრილი ამბავი

ახირებული მგოსანი საბერძნეთში. აწინდელს ომის ველზე ბერძენთა ჯარებს მუდამ დაჰყვებოდა მთელს საბერძნეთში ცნობილი მგოსანი სახელად ნიკოლო. იგი ამბობს: „თესალიის სამხედარზე უიარაღოთ მოვედიო, ჩემი იარაღი-მგოსნის კალამი და ლექსების რვეულიაო“.

ნიკოლოს აზრით და სურვილით საბერძნეთს კრიტს გარდა უნდა შეუერთდეს მაკედონია, ეპირი და ყველა არხიპელაგის კუნძულები და კონსტანტინეპოლიც კი. სტამბოლი, ნიკოლოს აზრით, ისტორიული საკუთრებაა საბერძნეთისა, მისი სამშობლო, გვირგვინი და აკვანი; საბერძნეთის გარდა სხვა არავის არ უნდა ეკუთნოდეს სტამბოლიო; წმ. სოფიის ეკკლესია ბერძენთა ტაძარიაო. მთელს საბერძნეთში ნიკოლო ძრიელ უყვართ. მას ყოველგან დიდის პატივის ცემით ეპყრობიან და ყოველთვის უსასყიდლოდ სვამსა და სჭამს.

ნიკოლოს დიდი სურვილი აქვს ცოლად შეირთოს საბერძნეთის მეფის ასული მარიამ.—ნიკოლო ხშირად ქუჩაზედ ზის ხოლმე და თავის ლექსებს უკითხავს ხალხს, რომელიც ბლომად ეხვევა გარს.

საღამოს დეპეშა

16 მაისი.

ხერსონი. 15 მაისს დაიწყო გარჩევა ბუტლი-დეკაცმანის საქმისა, რომელმაც მოჰკლა მევახშე დიმანტი.

ათინა. მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ მან შეიტანა საეროვნო ბანკში 110,000 გირვანქა სტერლ. 15 ივნისის და 1 ივლისის კუპონების ნაღდად გადასახდელად.

ლონდონი. „Times“ ტელეგრამით ატყობინებენ ათინიდგან, რომ აკროტირის განდგომილთ პოლკოვნიკის სტაიკოსის რჩევით, გადასცეს ელჩებს სამი ზარბაზანი, ხოლო დანარჩენი ორი მეამბოხეთა ხელში დარჩა შუაგულ კუნძულზე.

პარიჟი. „Figaro“, „Matiu“ და სხვა გაზეთები იუწყებიან რა ამბავს, რომ გარმონია მიემხრო ელჩების ნოტას, რომელიც პორტას, გაეგზავნა, ამბობენ ეს მიმხრობა იმის წყალობით მოხდა, რომ რუსეთის მთავრობამ გერმანიას მიჰმართაო. ოფიციალურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ეხლაც, როგორც ომიანობის დროს, რუსეთის მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ჰხმარობს, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობა იყოს დამყარებული და საბერძნეთის ბედ-იღბალი შემსუბუქებული.

განცხადება
ცნობილის ფაბრიკის

როიალები

პია ნინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
Музыкальное депо
Б. М. Мириманяна.
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинс. Дворянства.

Учебникъ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ,
сост. М. Насидзе.
Цѣна 50 к.
Продается въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ и въ кн. магаз. „Общества распостр. грам.“.
(10—5)

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში).
იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.
ქუთაისში: ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფან ლაღიძესთან.
ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან და დოქტორ ვოლსკისთან.
ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან და იაკობ ფანცხავასთან.
ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.
საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.
ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.
ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
წიფაში: კირილე ხარაძესთან.
ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.
სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან და სამ. ყიფიანთან.
ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.
განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.
ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.
კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.
ხონში: ივანე შარაშიძესთან.
გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.
თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.
სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.
ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.
ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.
ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.
მოლითში: პავლე კურცხალიასთან.
ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ მოწერილი ბარათები.

(20—3) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შეისწავლოს სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს ი. ია. ბრონ ფონ ბრენნერს.

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა 40 მა

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торгов промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Тортовыхъ и вексельныхъ узаконеній,**—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОН БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. ттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (წ.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Мая 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.